

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 ზოგადი ინფორმაცია	8
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3 ფული და ფულის ეკვივალენტები	17
4 ძირითადი საშუალებები	18
5 არამატერიალური აქტივები	19
6 ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	19
7 დაფარვის ვადაზე ფლობილი ფინანსური აქტივები	21
8 წინასწარი გადახდა არამატერიალური აქტივის შესაძენად	21
9 სააქციო კაპიტალი	22
10 შემოსავალი ერთ აქციაზე	22
11 ფინანსური შემოსავალი	22
12 სხვა საოპერაციო ხარჯები	23
13 კურსთა შორის სხვაობის წმინდა მოგება	23
14 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	24
15 პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	25
16 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ	25
17 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს "თბილისის საფონდო ბირჟა"-ს ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:



გიორგი ფარესიშვილი

გენერალური დირექტორი

სს "თბილისის საფონდო ბირჟა"

თარიღი: 22 აპრილი, 2020



ნინო ქორდიანი

ფინანსური დირექტორი



Moore Abc, LLC
6 Marjanishvili Street
0102, Tbilisi, Georgia
T +995 32 2 000 123
E info@moore.ge
www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა სს "თბილისის საფონდო ბირჟა"

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს "თბილისის საფონდო ბირჟის" (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც არამოდიფიცირებული მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ 2019 წლის 28 მარტს.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი
ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011


თარიღი: 22 აპრილი, 2020
თბილისი, საქართველო




ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-19	31-დეკ-18
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	489,512	116,800
წინასწარ გადახდილი თანხა		738	2,408
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	7	406,915	363,902
სულ მიმდინარე აქტივები		897,165	483,110
ძირითადი საშუალებები	4	17,753	20,526
არამატერიალური აქტივი	5	1,014,992	-
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	6	1,279,190	817,535
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	7	-	379,799
წინასწარი გადახდა არამატერიალური აქტივის შესაძენად	8	24,494	423,757
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,336,429	1,641,617
სულ აქტივები		3,233,594	2,124,727
საგადასახადო ვალდებულება		48,909	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		82	82
სულ მიმდინარე ვალდებულებები		48,991	82
გრძელვადიანი ვალდებულება არამატერიალური აქტივის შესაძენად		202,015	-
სულ ვალდებულებები		251,006	82
სააქციო კაპიტალი	9	358,804	283,897
საემისიო კაპიტალი		3,196,229	2,271,128
გაუნაწილებელი მოგება		(572,445)	(430,380)
სულ კაპიტალი		2,982,588	2,124,645
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,233,594	2,124,727

გიორგი ფარესიშვილი
 გენერალური დირექტორი





 ნინო ქურდიანი
 ფინანსური დირექტორი

სს თბილისის საფონდო ბირჟა

თარიღი: 22 აპრილი, 2020

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
ცკეტა და ამორტიზაცია		(10,756)	(9,524)
ფინანსური შემოსავალი	11	41,124	39,474
ინვესტიციების გაუფასურება შვილობილ საწარმოში		(238,348)	(285,665)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება	13	68,907	15,001
გაუფასურების რეზერვის ხარჯი/(სარგებელი)		3,402	(3,792)
სხვა ხარჯები	12	(6,394)	(57,975)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ხარალი)		(142,065)	(302,481)
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ხარალი)		(142,065)	(302,481)
სარგებელი ერთ აქციაზე			
საბაზისო და გაზავებული	10	(0.49)	(1.08)



გიორგი ფარესიშვილი
 გენერალური დირექტორი



ნინო ქურდიანი
 ფინანსური დირექტორი

სს თბილისის საფონდო ბირჟა

თარიღი: 22 აპრილი, 2020

სს თბილისის საფონდო ბირჟა
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(3,716)	(26,701)
მიღებული პროცენტი		37,579	38,585
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		33,863	11,883
შემოსავალი ობლიგაციიდან		410,780	-
ობლიგაციის შეძენა		-	(349,137)
არამატერიალური აქტივების და ძირითადი საშუალებების გაყიდვა/(შეძენა)		(364,125)	(230,066)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		46,655	(579,203)
თბილისის საფონდო ბირჟის კაპიტალის გაზრდა		1,000,008	-
ცენტრალური დეპოზიტარის კაპიტალის გაზრდა		(700,003)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		300,005	-
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		380,523	(567,320)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		116,800	698,592
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(7,811)	(14,472)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	3	489,512	116,800

გიორგი ფარესიშვილი
 გენერალური დირექტორი

სს თბილისის საფონდო ბირჟა

თარიღი: 22 აპრილი, 2020

ნინო ქურდიანი
 ფინანსური დირექტორი


სს თბილისის საფონდო ბირჟა
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	283,897	2,271,128	(127,899)	2,427,126
წლის ზარალი	-	-	(302,481)	(302,481)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	283,897	2,271,128	(430,380)	2,124,645
აქციების ემისია	74,907	925,101	-	1,000,008
წლის მოგება (ზარალი)	-	-	(142,065)	(142,065)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	358,804	3,196,229	(572,445)	2,982,588



გიორგი ფარესიშვილი
 გენერალური დირექტორი



ნინო ქურდიანი
 ფინანსური დირექტორი

სს თბილისის საფონდო ბირჟა

თარიღი: 22 აპრილი, 2020

1 ზოგადი ინფორმაცია

სს თბილისის საფონდო ბირჟა (შემდგომში "კომპანია") დაფუძნდა 2015 წლის 7 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: ვაჟა-ფშაველას 71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული, თბილისი 0186. კომპანიის გენერალური დირექტორია: გიორგი ფარესიშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, საჯარო ვაჭრობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება.

კომპანიის დამფუძნებელია და აქციათა 100%-ის მფლობელი 2016 წლის დეკემბრამდე იყო სს "საქართველოს საფონდო ბირჟა" ("დამფუძნებელი"). დამფუძნებელმა კომპანია დააფუძნა, რათა დაუბრკოლებლად შეძლოს სახსრების მოზიდვა ბიზნესის განვითარებისთვის კომპანიის აქციების რეალიზაციის გზით (დამფუძნებელს საკუთარი სააქციო კაპიტალის გაზრდა, წესდების თანახმად, არ შეუძლია აქციონერთა 75%-ის თანხმობის გარეშე). დამფუძნებლის მინორიტარმა აქციონერებმა, რომლებიც ფლობენ დამფუძნებლის აქციათა 38% სასამართლოში გაასაჩივრეს კომპანიის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილება. აღნიშნული დავა პირველი ინსტანციის სასამართლოში დასრულდა კომპანიის სასარგებლოდ. (ინფორმაცია მიმდინარე სასამართლო დავებთან დაკავშირებით იხილეთ მე-15 განმარტებითი შენიშვნაში). დამფუძნებლის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია დაფუძნებულია მოქმედ კანონმდებლობასთან და წესდებასთან სრულ შესაბამისობაში. კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის არ აქვს დაწყებული საოპერაციო საქმიანობა.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითად აქციონერებს წარმოადგენენ:

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
"საქართველოს საფონდო ბირჟა"	27.87%	35.22%
სს "გალტ ენდ თაგგარტი"	24.04%	21.59%
შპს "თიბისი კაპიტალი"	24.04%	21.59%
შპს "ჯი სი ეფ ჰოლდინგს ჯორჯია"	24.04%	21.59%
	100.00%	100.00%

მიუხედავად იმისა, რომ დამფუძნებელს შეუძლია წილი კომპანიაში 27.87%-მდე, იგი მაინც ინარჩუნებს კონტროლს კომპანიაზე და მის შედეგებს ასახავს საკუთარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კომპანიას არ გამოუშვია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რადგან მას იკონსოლიდირებს მისი დამფუძნებელი კომპანია სს "საქართველოს საფონდო ბირჟა", როგორც ეს ახსნილია განმარტებით შენიშვნა 1-ის ასევე ქვემოთ იხილეთ დეტალური ინფორმაცია:

ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა არ მოემზადებინათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასს 10 -ის "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების" დებულებების თანახმად, რადგანაც კომპანია ამისთვის აკმაყოფილებს ყველა საჭირო პირობას:

- იგი წარმოადგენს მშობელი კომპანიის მფლობელობაში არსებულ შვილობილ კომპანიას, რომელიც ამზადებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ის სტანდარტების შესაბამისად, სადაც შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია.
- მისი საგალო ან წილობრივი ინსტრუმენტები არ იყიდება ღია ბაზარზე.
- კომპანიას საქართველოს ეროვნული ბანკისთვის არ წარუდგენია და არც ირიცხება საკუთარი ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის პროცესში, ღია ბაზარზე ინსტრუმენტთა ნებისმიერი კლასის გამოშვების

შესაბამისად, კომპანია არ ახორციელებს შვილობილი კომპანიის კონსოლიდირებას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში და არ აღრიცხავს მათ კაპიტალ მეთოდით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ბუნების მიხედვით. კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგრო ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების და ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.2 შეფასების საფუძველი (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

2.3 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ფასს 16 - იჯარა

2016 წლის იანვარში ბასს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა", რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ზარჯი და საამორტიზაციო ანარიცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ახალი სტანდარტების დანერგვის გავლენა

ფასს 16-ზე გადასვლას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.4 ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.4 ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

- ა) არსებითობის განმარტება - შესწორებები ბასს 1-სა და ბასს 8-ში;
- ბ) ბიზნესის განმარტება - შესწორებები ფასს 3-ში;
- გ) შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში;
- დ) აქტივების რეალიზაცია ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში- შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-S-ი;
- ე) ფასიკ 23 მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვეველობა.

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. კომპანიის ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ზარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლოა გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

ამასთანავე, დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პოროფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახე

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 - 60 დღე	61 - 90 დღე	91 - 180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

სრულად მოხდება აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა, თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL) ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები - ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

2.6 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.6 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების წრფივად ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების 5-წლიანი ვადის განმავლობაში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღის დღეს გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ნაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივი.

გამოყენების ეკონომიკური სარგებელი არის აქტივის/ერთეულის გამოთვლილი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულებების გამოთვლა წარმოებს დისკონტირების განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

2.7 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.7 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები (გაგრძელება)

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	USD	EUR	GBP
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8677	3.2095	3.7593
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3.0701	3.3955
საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.8192	3.1553	3.5964
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.5345	2.9913	3.3812

2.8 ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ინვესტიციის გაუფასურებაზე შემოწმება. ივიდენდები შვილობილი კომპანიებიდან აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როცა მტკიცდება კომპანიის უფლება, მიიღოს აღნიშნული დივიდენდი.

2.9 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

2.10 ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტიდან კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

2.11 კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისიო კაპიტალში.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.12 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებსად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალ ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შექმნასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

3 ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	402,885	19,077
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	86,627	97,723
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	489,512	116,800

დეპოზიტები შედგება მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, რომელთაც ერიცხებათ საპროცენტო სარგებელი 0.25-6.5% მდე შესაბამისი დეპოზიტის განაკვეთის საფუძველზე.

2019 და 2018 წლის მანძილზე დეპოზიტებიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-11 განმარტებით შენიშვნაში.

სს თბილისის საფონდო ბირჟა
 ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

3 ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

4 ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება		
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	45,695	45,695
შეძენა	5,629	5,629
გაყიდვა	(1,141)	(1,141)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	50,183	50,183
შეძენა	8,205	8,205
გაყიდვა	(606)	(606)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	57,782	57,782
ცვეთა		
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(20,201)	(20,201)
ცვეთა წლის მანძილზე	(9,524)	(9,524)
გაყიდვა	68	68
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(29,657)	(29,657)
ცვეთა წლის მანძილზე	(10,756)	(10,756)
გაყიდვა	384	384
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(40,029)	(40,029)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	25,494	25,494
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,526	20,526
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,753	17,753

სს თბილისის საფონდო ბირჟა
ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

5 არამატერიალური აქტივები

	სავაჭრო სისტემის ლიცენზია	სულ
ისტორიული ღირებულება		
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
შეძენა	1,014,992	1,014,992
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,014,992	1,014,992
ცვეთა		
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
ცვეთა წლის მანძილზე	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,014,992	1,014,992

არამატერიალური აქტივები მოიცავს MONTRAN CORPORATION-სგან შეძენილ სავაჭრო სისტემის ლიცენზიას. 2019 წლის ნოემბერში MONTRAN CORPORATION-მა კომპანიას მიაწოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტი, რის შედეგადაც დაკმაყოფილდა არამატერიალურ აქტივად კლასიფიკაციის კრიტერიუმები და სავაჭრო სისტემის ლიცენზია აღიარდა არამატერიალურ აქტივად. ამჟამად, აქტივი არის კომპანიის მიერ ტესტირების პროცესში.

6 ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში

2016 წლის 23 დეკემბერს სს „თბილისის საფონდო ბირჟამ“ შეისყიდა სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ 304,499 ცალი ჩვეულებრივი აქცია. თითო აქციის ღირებულება იყო 3.623 ლარი და მთლიანად გადაიხადა 1,103,200 ლარი. 2019 წლის 2 დეკემბერს სს „თბილისის საფონდო ბირჟამ“ შეისყიდა სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ 193,211 ცალი ჩვეულებრივი აქცია. თითო აქციის ღირებულება იყო 3.623 ლარი, შესაბამისად სს "თბილისის საფონდო ბირჟამ" მთლიანად გადაიხადა 700,003 ლარი. ამ ინვესტიციით სს “თბილისის საფონდო ბირჟა” გახდა სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ 83.10 პროცენტის მფლობელი.

2019 წლის ბოლოსთვის დაგროვილი გაუფასურების ზარალი არის 524,014 ლარი (2018: 285,665 ლარი), ხოლო საბალანსო ღირებულება შეადგენს 1,279,190 ლარს (2018: 817,535 ლარი).

სს თბილისის საფონდო ბირჟა
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

6 ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია შვილობილი კომპანიის 2019 და 2018 წლის აუდირებული ფინანსური ინფორმაცია:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ჯამური აქტივები	წმინდა აქტივები	წმინდა მოგება/ (ზარალი)
სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი	1,744,140	1,506,143	(283,036)

	ინვესტიცია შვილობილში	საბალანსო ღირებულება (83.10) % წმინდა აქტივებში	გაუფასურები ს ზარალი
სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი	1,803,203	1,279,190	524,014

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ჯამური აქტივები	წმინდა აქტივები	წმინდა მოგება/ (ზარალი)
სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი	1,739,613	1,089,176	(173,652)

	ინვესტიცია შვილობილში	საბალანსო ღირებულება (75.06) % წმინდა აქტივებში	გაუფასურები ს ზარალი
სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი	1,103,200	817,535	285,665

სს თბილისის საფონდო ბირჟა
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

7 დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები

	ვალუტა	საწყისი	დაფარვის ვადა	სარგებელი	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
		თანხა ვალუტაში				
"GLC"-ს ობლიგაციები	აშშ დოლარი	140,000	აგვისტო, 2020	7.00%	411,025	383,635
"BGEO"-ს ობლიგაციები	აშშ დოლარი	135,000	სექტემბერი, 2019	5.00%	-	367,578
სულ გაუფასურების რეზერვამდე					411,025	751,213
ფასიანი ქაღალდების გაუფასურების ანარიცხი					(4,110)	(7,512)
წმინდა დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები					406,915	743,701

საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივებიდან იხილეთ მე-11 განმარტებით შენიშვნებში. საანგარიშგებო პერიოდში არ ყოფილა არსებითი სხვაობა კუპონის განაკვეთისა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის.

არ არის არსებითი სხვაობა დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსურ აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

8 წინასწარი გადახდა არამატერიალური აქტივის შესაძენად **31-დეკ-2019 31-დეკ-2018**

წინასწარ გადახდები არამატერიალურ აქტივებზე	24,494	359,010
არადაბრუნებადი გადასახდელები რომლებიც გაწეულ იქნა არამატერიალურ აქტივზე	-	64,747
სულ წინასწარი გადახდა არამატერიალური აქტივის შესაძენად	24,494	423,757

2017 წლის 31 იანვარს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება MONTRAN CORPORATION-თან სავაჭრო სისტემის შექმნისა და ლიცენზირების თაობაზე, რის შედეგადაც 2017 წლის ივლისში განხორციელდა ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრული წინასწარი გადახდა 70,445 აშშ დოლარის ოდენობით. 2018 წლის ივლისში MONTRAN CORPORATION-სთვის მოხდა დამატებით 70,445 აშშ დოლარის გადახდა სავაჭრო სისტემის დეველოპმენტის სტადიის დაწყებასთან დაკავშირებით. 2019 წლის განმავლობაში MONTRAN CORPORATION-ის მიერ კომპანიისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის და დამატებით შეთანხმებული მოდულის მიწოდებასთან დაკავშირებით კომპანიამ გადაიხდა 90,445 აშშ დოლარი.

2019 წლის 6 დეკემბერს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება შპს "გრინ სისტემს"-თან არამატერიალური აქტივის შექმნის, ინსტალაცია/კონფიგურაციის თაობაზე, რისთვისაც 2019 წლის 9 დეკემბერს გადაიხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი თანხის 50% - 24,495 ლარი.

8 წინასწარი გადახდა არამატერიალური აქტივის შესაძენად (გაგრძელება)

2019 წლის ნოემბერში MONTRAN CORPORATION-მა კომპანიას მიაწოდა ზელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტი, შესაბამისად წინასწარ გადახდა არამატერიალური აქტივის შესაძენად მთლიანი ღირებულებით რეკლასიფიცირდა არამატერიალურ აქტივზე. აღნიშნული თანხა მოიცავს როგორც MONTRAN CORPORATION-სთვის გადახდილ თანხებს, ასევე არადაბრუნებად გადასახდელებს, რომლებიც გაწეულ იქნა არამატერიალურ აქტივზე.

	2019	2018
საწყისი ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	423,757	230,850
წლის განმავლობაში გადახდილი თანხა	355,391	216,450
წლის განმავლობაში გამოქვითული თანხა	-	(23,543)
წლის განმავლობაში არამატერიალურ აქტივად რეკლასიფიკაცია	(754,654)	-
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,494	423,757

9 სააქციო კაპიტალი

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოუშვა 74,907 ჩვეულებრივი აქცია, ნომინალური ღირებულებით თითო აქციაზე - 1 ლარი, ხოლო გასაყიდი ფასი შეადგენდა 13.35 ლარს, რის შედეგადაც კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 74,907 ლარით, ხოლო საემისიო კაპიტალი 925,101 ლარით.

10 შემოსავალი ერთ აქციაზე

ჩვეულებრივ შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება წლის მოგებისა და წლის მანძილზე საშუალო შეწონილი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის შეფარდებით. კომპანია ფლობს მხოლოდ ჩვეულებრივ აქციებს.

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
წმინდა შემოსავალი, რომელიც ექვემდებარება საერთო აქციონერებს	(142,065)	(306,201)
მოგება/(ზარალი) მიმდინარე წლისთვის	(142,065)	(306,201)
აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილი	290,139	283,897
საბაზისო	(0.49)	(1.08)

11 ფინანსური შემოსავალი

	2019	2018
შემოსავალი ფასიანი ქაღალდებიდან	40,838	30,547
საბანკო დეპოზიტებისგან მიღებული პროცენტი	286	8,927
სულ ფინანსური შემოსავალი	41,124	39,474

სს თბილისის საფონდო ბირჟა
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

12 სხვა საოპერაციო ხარჯები	2019	2018
ბანკის ხარჯი	902	1,339
საბუღალტრო მომსახურება	750	1,219
კომპიუტერის ხარჯი	509	491
ქონების გადასახადი	191	478
რეგისტრატორის (კავკასრეესტრი) მომსახურების ხარჯი	335	293
კომუნიკაციის ხარჯი	174	174
დომენის სააბონენტო გადასახადი	134	124
საფოსტო ხარჯი	20	14
იურისტების მომსახურება	-	41,710
არარეზიდენტის უკუდაბეგერის დღგ	-	7,886
სხვა ხარჯები	3,379	4,247
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	6,394	57,975

13 კურსთა შორის სხვაობის წმინდა მოგება

	ფული და ფულის ეკვივალენტები	დაფარვის გადამდე ფლობილი ფინ. აქტივები	გრძელვადიანი ვალდებულება არამატერიალური აქტივის შესაძენად	კონვერტაცია	სულ
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	16,033	89,816	9,415	-	115,264
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(22,676)	(22,768)	-	(913)	(46,357)
2019 წლის კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	(6,643)	67,048	9,415	(913)	68,907

	ფული და ფულის ეკვივალენტები	დაფარვის გადამდე ფლობილი ფინ. აქტივები	კრედიტორული დავალიანება	კონვერტაცია	სულ
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	36,412	61,023	13	-	97,448
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(45,129)	(36,946)	(56)	(316)	(82,447)
2018 წლის კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	(8,717)	24,077	(43)	(316)	15,001

14 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, საკავშირებელი იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც "ანგარიშვალდებული საწარმო").

ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

- (i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;
- (ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (iii) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
- (ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;
- (v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დაქირავებულებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) (ა) (i) ქუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	1,279,190	817,535
საბალანსო ნაშთები "თიბისი ბანკთან"	6,919	19,010
საბალანსო ნაშთები "საქართველოს ბანკთან"	481,590	96,806
(დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები) "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	406,916	379,799
(დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები) "BGEO ჯგუფი"	-	363,902

14 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ზარჯი:	2019	2018
დამფუძნებლის შვილობილი	335	293
სხვა დაკავშირებული მხარეები	932	-
შემოსავალი:	2019	2018
(დაფარვის ვადადღე ფლობილი ინვესტიციები) "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	27,809	24,896
(დაფარვის ვადადღე ფლობილი ინვესტიციები) "BGEO ჯგუფი"	13,029	6,217

15 პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

15.1 მიმდინარე სასამართლო დავები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ჩართული არის ორ სასამართლო დავაში, სადაც მინორიტარი აქციონერები დავობენ სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" მიერ სს „თბილისის საფონდო ბირჟის“ დაფუძნების კანონიერების შესახებ.

ორივე დავა საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში დასრულდა კომპანიის სასარგებლოდ. სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება მოსარჩევეების მიერ გასაჩივრებულია უზენაეს სასამართლოში, რომელიც 2020 წლის 22 აპრილის მდგომარეობით განიხილავს მისი დასაშვებობის საკითხს.

მენეჯმენტის შეფასებით აღნიშნული დავების უარყოფითად (კომპანიის წინააღმდეგ) დასრულების ალბათობა არის 5%, ვინაიდან დავები ორივე ინსტანციის სასამართლოში დასრულდა კომპანიის სასარგებლოდ. კომპანიის მოლოდინია, რომ იმ შემთხვევაში თუ უზენაესი სასამართლო საკასაციო საჩივრებს დასაშვებად ცნობს და მაინც განიხილავს, ძალაში დარჩება ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები. შესაბამისად, არ არსებობს მოლოდინი რაიმე ტიპის ზარალის დადგომასთან დაკავშირებით.

16 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო რისკების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.

16 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი
- სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	489,512	116,800
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	406,915	743,701
სულ ფინანსური აქტივები	896,427	860,501
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	82	82
გრძელვადიანი ვალდებულება არამატერიალური აქტივის შესაძენად	202,015	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	202,097	82

16.1 საკრედიტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკის საფრთხეს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით. მომხმარებლის საკრედიტო ლიმიტების დაწესების დროს გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოები, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ფული და ფულის ეკვივალენტები	489,512	116,800
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	406,915	743,701

ფული და ფულის ეკვივალენტის ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისა და დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისათვის. დებიტორულ დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

16 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

16.1 საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 ღონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I ღონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ.
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II ღონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III ღონეში.
- I ღონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წლის მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III ღონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I ღონე	II ღონე	III ღონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარავი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსულ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I ღონეში როგორც 2019 წლის დასაწყისში, ასევე 2019 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების ღონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

ვადაგადაცილებული დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 - 60 დღე	61 - 90 დღე	91 - 180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

სს თბილისის საფონდო ბირჟა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

16 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

16.1 საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით. ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის. ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, კომპანია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას.

16.2 ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვალდებულებების (სახელშეკრულებო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები) შესრულების ვადა იყო ერთი წელი.

ამჟამად, კომპანია გეგმავს ყველა ვალდებულების შესრულებას სახელშეკრულებო ვადით. ასეთი ვალდებულებების შესასრულებლად, კომპანიის მოლოდინის თანახმად, საოპერაციო საქმიანობით მოხდება საკმარისი ფულადი სახსრების შემოდინება.

ლიკვიდურობის რისკი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	489,512	-	-	-	489,512
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	406,915	-	-	-	406,915
სულ ფინანსური აქტივები	896,427	-	-	-	896,427
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	82	-	-	-	82
გრძელვადიანი ვალდებულება არამატერიალური აქტივის შესაძენად	202,015	-	-	-	202,015
სულ ფინანსური ვალდებულებები	202,097	-	-	-	202,097
ლიკვიდურობის პოზიცია	694,330	-	-	-	694,330

16 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

16.2 ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	116,800	-	-	-	116,800
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	363,902	379,799	-	-	743,701
სულ ფინანსური აქტივები	480,702	379,799	-	-	860,501
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	82	-	-	-	82
სულ ფინანსური ვალდებულებები	82	-	-	-	82
ლიკვიდურობის პოზიცია	480,620	379,799	-	-	860,419

16.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრზე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია წვემით:

წლიური %-ში	31-დეკ-2019		31-დეკ-2019	
	ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	6.50%	0.25%	2%	2.70%
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	-	5%-7%	-	5%-7%

16.4 სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განთავსებას.

16 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

16.4 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დაფარვის გადამდე ფლობილი ფინ. აქტივები	ფული და ფულის ეკვივალენტები	გრძელვადიანი ვალდებულება არამატერიალუ რი აქტივის შესაძენად	სულ
აშშ დოლარი	406,916	481,485	(202,015)	686,386
ევრო	-	4,231	-	4,231
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	406,916	485,716	(202,015)	690,617

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დაფარვის გადამდე ფლობილი ფინ. აქტივები	ფული და ფულის ეკვივალენტები	სულ
აშშ დოლარი		751,213	843,926
ევრო		-	4,053
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		751,213	847,979

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის მოგებას დაბეგვრამდე 2019 წლისთვის 68,639 ლარით (2018: 84,393 ლარი).

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება ევროს მიმართ შეამცირებს/გაზრდის მოგებას დაბეგვრამდე 2019 წლისთვის 423 ლარით (2018: 405 ლარი).

17 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე უკავშირდება ეკონომიკურ სირთულეებს რომელიც შესაძლებელია წარმოიქმნას ახალი კორონავირუსის პანდემიის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით, თუმცა კომპანიის შემთხვევაში მენეჯმენტი რისკებს მინიმუმზე აფასებს, რადგან მისი საქმიანობა ადაპტირებულია დისტანციურ ოპერირებაზე, ხოლო ძირითად კლიენტებს წარმოადგენენ ისეთი ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა საქმიანობაც (COVID-19) - ის ფართო გავრცელების შემთხვევაშიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული კომპანიის ოპერაციებთან. ამასთანავე რისკების დაბალ დონეზე შეფასების დამატებით არგუმენტს წარმოადგენს კლიენტების პორტფელის დივერსიფიკაცია.
